


ნახშირწყალბადები - 2

გვარი-----ჯგუფი-----თარიღი-----

1. მოცემულია 3 ნახშირწყალბადი:



რომელი გააუფერულებს ბრომიან წყალს?

- ა. I და II
- ბ. I და III
- გ. II და III
- დ. I, II და III

2. ეთენისა და მისი ჰომოლოგებისათვის დამახასიათებელი რეაქციებია:

1. ჩანაცვლების, 2. მიერთების, 3. პოლიმერიზაციის, 4. ესტერიფიკაციის.

- ა. 1 და 2
- ბ. 1 და 3
- გ. 2 და 3
- დ. ყველა

3. პოლიმერიზაციის რეაქციები ახასიათებს:

- ა. ალკანებს- $\text{C}_n\text{H}_{2n+2}$
- ბ. ალკენებს- C_nH_{2n}
- გ. ალკინებს- $\text{C}_n\text{H}_{2n-2}$
- დ. არენებს $\text{C}_n\text{H}_{2n-6}$

4. რამდენი π (პი)-ბმია ეთინში ($\text{HC}\equiv\text{CH}$) ?

- ა. 1
- ბ. 2
- გ. 3
- დ. 4

5. ორმაგი ბმის სიგრძეა:

- ა. 0,154 ნმ
- ბ. 0,134 ნმ
- გ. 0,120 ნმ
- დ. 0,140 ნმ

6. ეთენის მოლეკულაში ნაშირწყალბადები იმყოფება:

1) sp^3 , 2) sp^2 , 3) sp ჰიბრიდულ მდგომარეობაში და მოლეკულას აქვს

4) ხაზობრივი, 5) სამკუთხა და 6) ტეტრაედრული აღნაგობა

ა. 1 და 4

ბ. 1 და 5

გ. 2 და 4

დ. 2 და 5


7. მოცემული ოთხი ნახშირწყალბადიდან რომელი ვერ მიიერთებს წყალბადს?

ა. მეთანი CH_4

ბ. ეთილენი $H_2C = CH_2$

გ. ეთინი (აცეტილენი) $HC \equiv CH$

დ. ბენზოლი



8. ეთენის ჰიდრირების შედეგად მოლეკულის სივრცითი აღნაგობა იცვლება

ა. ტეტრაედრიულიდან ბრტყელი სამკუთხედისაკენ

ბ. ბრტყელი სამკუთხედიდან ტეტრაედრულისაკენ

გ. ბრტყელი სამკუთხედიდან ხაზობრივისაკენ

დ. ხაზობრივიდან ტეტრაედრულისაკენ

9. ცის და ტრანს ანუ გეომეტრიული იზომერია ახასიათებს:

ა. ალკანებს

ბ. ალკენებს

გ. ალკინებს

დ. არენებს

10. ქვემოთ მოყვანილი ნაერთებიდან :

1. $CH_3 - C \equiv C - CH_3$

2. $CH_3 - CH = CH - CH_3$

3. $CH_3 - CH_2 - CH_2 - CH_3$

4. $CH \equiv C - CH_2 - CH_3$

იზომერებია:

ა. 1 და 2

ბ. 2 და 3

გ. 1 და 4

დ. 2 და 4

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ფ	ს	ბ	ბ	ბ

შენიშვნა 2020